ნამახვანი

18.01.2019 #NHC-08-1801-1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

როგორც თქვენთვის ცნობილია სს „ნამახვანი" გეგმავს ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის განხორციელებას, რომლის მიხედვით მოხდება მდ. რიონის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისება ზღვის დონიდან 357 და 205 მ ნიშნულებს შორის მოქცეულ მონაკვეთზე. პროექტზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N73 გაცემულია 2015 წლის 25 დეკემბერს, რის საფუძველზეც საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო"-ს მიერ გაცემულია მშენებლობის ნებართვა.

პროექტის ოპტიმიზაციის პროცესში მიღებული იქნა გადაწყვეტილება ჰესების კასკადის თავდაპირველ პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, კერძოდ:

ზედა ნამახვანი ჰესი (საბაზო პროექტის მიხედვით ტვიში ჰესი):

ესკიზური პროექტით გათვალისწინებულია ჰესის შენობის განთავსება კაშხლის კონსტრუქციაში, კერძოდ კაშხლის ძირთან, ნაცლად საბაზო პროექტით გათვალისწინებული საპროექტო გადაწყვეტისა, რომლის მიხედვით კაშხლის მოწყობა დაგეგმილი იყო 337 მ-ის დაცილებით.

დაწნევის გაზრდის მიზნით, გათვალისწინებულია მდ. რიონის კალაპოტის ჩაღრმავება კაშხლიდან სოფ. ორხვის ხიდის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფს ქვედა ბიეფის დონის დაწევას ჰესის შენობასთან;

საბაზო პროექტით ქვესადგურის განთავსება დაგეგმილი იყო კაშხლის ქვედა დინებაში, ესკიზური პროექტით კი მისი მოწყობა დაგეგმილია კაშხლის კონსტრუქციაში ჰესის შენობის გვერდით;

ქვემო ნამახვანი ჰესი (საბაზო პროექტის მიხედვით ნამოხვანი-ჟონეთი ჰესი):

ჰესის შენობის გადატანა მდ. რიონის ზედა დინებაში დაახლოებით 1.5 კმ მანძილზე;

დაახლოებით 1.5 კმ სიგრძის გამყვანი არხის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს დონის დაწევას დაწნევის გაზრდის მიზნით;

წყალმიმღების მოწყობა კაშხლის მიმდებარედ, რომელიც საბაზო პროექტის მიხედვით დაგეგმილი იყო კაშხლიდან 2 კმ-ის დაცილებით;

წყალმიმყვანი გვირაბის ტექნიკური პარამეტრები არსებითად უცვლელი რჩება. წყალმიმღების და ჰესის შენობის ადგილმდებარეობის ცვლილებასთან დაკავშირებით იცვლება წყალმიმყვანი გვირაბის დერეფანი;

სამშენებელო სადერივაციო გვირაბის მოწყობა, ნაცვლად საბაზო პროექტით დაგეგმილი მარცხენა სანაპიროსა მოეწყობა მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე;

საბაზო პროექტთან შედარებით ქვედა ნამახვანი ჰესის კაშხლის საძირკველის დონე 1.5 მ-ით დაბლდება;

წყალსაცავის მაქსიმალური შეტბორვის ნიშნულის აწევა 1,5 მ-ით.

პროექტში შეტანილი ცვლილებები საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის მიხედვით ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. შესაბამისად კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას. წერილს თან ერთვის კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია

სს „ნამახვანი", ს/კ 406062503, ფაქტ. მის: ნ. ბარათაშვილის №8, 0105 თბილისი, საქართველო
ტელ.: 2 18 11 31. e-mail.: info@namakhvani.ge

№ 693
"21" 01 2019
2. ფ.

(იხ. წერილის დანართი 1.)
გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა პროექტში შეტანილი ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემას.

პატივისცემით,
გიორგი ჩაჩიბაია
დირექტორი